№ 89. 14 მაისი, შაბათი. 1866—1883 14 მაისი, შაბათი. № 89.

დროება

გამოდის უოველ-დღე ოროშაბათის გარდა

რედაქცია

კოლეგიანის ბრიანსკენტზე თავ. ი. ფუხრანსკის სახლებში კლუბის ქვეშად.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა დრეფი Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“

„დროების“ ფასი:

მოელ. წლისა	9 მან.	ხუთის თვისა	3 მან.
ექვსი თვისა	5 მან.	ერთი თვისა	1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი ვერცხლი [illegible] ასოზე ნახევარი კაპეიკი, [illegible] ასოზე ერთი მანეთი. [illegible] ასოზე რვა კაპეიკი.

თუ ხელშეკრულება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ო

რტოთ გერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს დასაბეჭდავად.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ფულგადახდილი „დროების“ დიდი ბეჭედი.

ტელეგრამა

(„ნოდოლოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

რუსეთიდან

მოსკოვი, 12 მაისს. დღეს სახალხოთ გამოცხადდა გვირგვინის კურთხევის დღე, შვიდი საათიდან მოკიდებული ხალხმა იწყო მეიდანზედ გამოსვლა. სწორეთ ცხრა საათზედ სენატის წინ დამწკრივდენ. მუსიკამ სიგნალი (ნიშანი) მისცა; ლივრეიებში ჩაცმულმა მეჯინიბეებმა გამოიყვანეს თორმეტი თეთრი ცხენი ძვირფასი ჩულებით; ორი ჭეროდდი ოქროთ ნაკერ ფარჩის ტანისამოსში წამოდგა წინ. უფროსმა ხმალი ამოიღო, ტრუბაჩმა საყვირით სიგნალი მისცა, ორი სეკრეტარი ცხენით წინ წამოდგა და სახალხოთ გამოცხადეს გვირგვინის კურთხევა 15 მაისისთვის. ხალხმა ერთბაშათ ქუდები მოიხადეს და ბირჯვარი გადაწერეს. მუსიკამ დაუკრა სახალხო ჰიმნი, რომლის შემდეგ ადტაცებაში მოსულმა ხალხმა ერთ ხმად „ურა“! დაჰყივლა. იქიდან გასწიეს მინინოსა და ბოჟარსკის შეგლებთან, წითელ მეიდანზედ, სადაც იმა რიგით გამოუცხადეს ხალხს ეს სასიხარულო დღე. იქ ორად გაიყვნენ და სხვა-დასხვა მხარეს გაბრუნდენ. ხალხი „ურას“ ყვირილით წინ მიუბრუნდა და ჰაერში იჭერდა განცხადებებს.

პეტერბურღი. ბრუსიის მართებლობას ადუგრძალავს ბოზნანში და დასავლეთს ბრუსიაში რუსეთიდან ყველა ნაირი ბირუტყვების შერეკვა, მატყლის, ბალნის და ჯაგრის შეტანა. შეიძლება რუსეთიდან მოიყვანონ მხოლოდ ცხენები და ჯორები.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრს განუცხადებია დღეის იქით სახელმწიფო ტყეები ადარ მიეცეთ იჯარით კერძო პირებს.

კავკასიის ტრანზიტზედ

თბილისი, 13 მაისი.

ტრანზიტზედ არ შეიძლება მსჯელობა, როგორც განსაკუთრებულ პოლიტიკო-ეკონომიურ პრინციპზედ, რადგანაც ეკონომიურ სწავლაში განსაკუთრებული კუნძული არსად უჭირავს. თუ ლიტერატურაში ცხარე ბაასი ასტეხა ამ ტრანზიტმა, რომელიც ჯერაც არ შეწყვეტილა, ეს იმის გამო მოხდა, რომ ტრანზიტმა გადაგდებული ძვალივით იმოქმედა, რომელმაც წაჰკიდა ის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე პოლიტიკო-ეკონომიური დასი, რომელნიც ისე ალესილნი არიან ერთმანეთზედ, რომ ძრიელ პატარა მიზეზია საჭირო მათში შუღლის ჩამოსაგდებად. მე ვამბობ იმ ორი ერთმანეთის წინააღმდეგი სისტემის წარმომადგენელებზედ, რომელთაც ეკონომიურ სწავლაში ფრიტარიდერებს და პროტექციონისტებს ეძახიან. პროტექციონისტები თხოულობენ, რომ ვაჭრობას და წარმოებას მართებლობა დაეხმაროს და მფარველობა გაუწიოს ყოველთვის, როდესაც სამშობლო ვაჭრობას უცხო ქვეყნელნი კონკურენციას უწევენ, ფრიტრიტ-დებრები კი ამტკიცებენ, რომ მართებლობის მფარველობა ჰღუპავს ვაჭრობას და წარმოებაზედაც. ტრანზიტის გაუქმებაზედ ცხარე ბაასი არის მხოლოდ შედეგი იმ მფარველობითი სისტემისა. დედა აზრი და უკანასკნელი მიზანი ტრანზიტის გაუქმებისა არის მოსკოვის საქონლის გაერცელება ჩვენში, სპარსეთში და შუა აზიაში, სადაც ევროპიულ საქონელთან კონკურენცია ვერ გასწია. მოსკოვის ფაბრიკანტები და მათი ერთგული მოსარჩლე ბ. კატკოვი ამ თავიანთ უმთავრეს წადილს რაღაც ლეჩაქითა ჰფარავენ, ვითომ ეს სხვათა შორის იყოს და სახელმწიფო ინტერესების დამცველად აღიარებენ თავის-თავს, მაგალითებრ, ისინი ამბობენ, ვითომც მომეტებული ნაწილი იმ საქონლისა, რომელიც ტრანზიტად დანიშნულია სპარსეთში და შუა აზიაში გასაგზავნად, კონდრაბანდათ ჩვენ ქვეყანაში რჩებოდეს და ამით სახელმწიფოს დიდი ზარალი ეძლეოდეს. იქნება აქ ცოტა სიმართლეც ერიოს, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ევროპიული საქონელს ჩვენს ქვეყანაზედ გზა შეუკრეს და აღარ გაატარეს. იმ საქონლის დაგუბება მაინც არ შეიძლება და თუ საქართველოზედ ვერ გაიელის, აზრუმზე მოუვლის და აზიისკენ გზას გაიკვლევს; განა უნდა იმედი გვქონდეს, რომ ჩვენში კონდრაბანდი მოისპობა? არა გვგონია. პირიქით, მაშინ უფრო გაძლიერდება კოტრაბანდი და როგორც სპარსეთის, ისე ოსმალეთის საზღვრებზედ ქასპის ზღვის ნაპირიდამ მოყოლებული ტრაპიზონამდე დამოქნის მცველების მთელი ჯარი უნდა დააყენონ. რასაკვირველია, მათი შენახვა უფრო ძვირად დაჯდება იმ სარგებლობაზედ, რომელსაც მათგან მოელიან.

აზიის ბაზრებში გაუწევს, თუ არა მოსკოვის საქონელი კონკურენციას ევროპის საქონელს, ამაზედ ნუ ვილაპარაკებთო რადგანაც ყველასთვის ცხადია, რომელი რომელის დაძლევს; ჩვენ ვეკითხოთ, მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის რა შედეგი იქნება ტრანზიტის გაუქმებას: ამისი გაუქმება ულუკმოდ დააგდებს მრავალ მუშა ხალხს, რომელნიც პორტებში მუშაობენ; ფულის მუშაობა და ვაჭრობა დაეცემა და, რადგანაც ჩვენ ქვეყანაში ქარხნული წარმოება სრულიად არ არის, უნდა ჩავსცვივდეთ მოსკოველი მონოპოლისტების ხელში, რომელნიც ინგლისური კარგი და იაფი საქონლის მაგივრ მოგვიტანენ მდარეს და ძვირს საქონელს. ბარდა ამისა, მართებლობას ტრანზიტის გაუქმებით დიდი ზარალი მიეცემა, რადგანაც აქაური რკინის გზების შემოსავალი ერთი-ათად იკლებს და მათი ხარჯი წელიწადში რამდენიმე მილიონი ხაზინას დააწევება. ამ ტრანზიტის რმედით გაიყვანეს ბაქოს რკინის გზა, თორემ მარტო ნავთი და ყარაბაღელი ხანების წინდა უკან სვირნობა გზის ხარჯს ვერ შეაესებს. ერთის სიტყვით, ტრანზიტის გაუქმება, როგორც სახელმწიფოსთვის, ისეც ჩვენი ქვეყნისთვის საენაელია ბევრით და არა სასარგებლო.

«დროების» ფელეტონი, 14 მაისს.

თბილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის ყრილობა.

პირველს ამ თვისას თბილისში გაიხსნა ჩვენი საადგილ-მამულო ბანკის კრება. კრებაზედ დაესწრენ სამოცდა-ათამდე დამფუძნებელი წევრნი, თუმცა კენჭის რიცხვი ას-ათამდენ იყო, რადგანაც ზოგიერთებს ორ-ორი კენჭი ჰქონდა სხვის მინდობილობით. არ ვიცი, მე მომეჩვენა თუ მართლა ისე იყო, მაგრამ სხდომის დარბაზში რომ შევედი და დამსხდარ ხალხს თვალი გადავაელე, ზედამხედველი კომიტეტის წევრთ და მმართველობას ის შთაბეჭდილება ჰქონდა ჩემზედ, რომელიცა აქეს ხოლმე ბრალდებულთ სკამზედ წამომჯდარ დამნაშავეს, უვადო კატორგის მომლოდინეს. მართლა და, როგორც შემდეგ დამტკიცდა, კომიტეტის წევრებს და ნამეტნავად მმართველობას—ერთი ტუსაღის ფარაჯადა აკლდათ, თორემ ნამდვილი დამნაშავიდან არაფრით განსხვავდებოდენ; საზოგადო კრება კი წარმოადგენდა შეუბრალებელ პროკურორს, რომელიც შეუწყნარებლად ითხოვს დამნაშავის ჩამოლრჩობას. ერთის სიტყვით, მე ჩემს თავს რომელიმე სამჯავროს დარბაზში წარმოვიდგენდი, მაგრამ ფიცხი და მცმუკავი ვექილები არსადა სჩნდენ და ბრალდებულნი თავის თავს თითონ იცავდენ. ბევრი შენატრის ბ. ჭავჭავაძეს და იმის ამხანაგებს, რომ მხარ-ცეროზედ წოლისთვის ხუთას თუმნობით ჯამაგირებს იღებენო, მაგრამ, უკაცრავად, მე არც ათას თუმნად ვიკისრებდი მათს ადგილს და ავასრულებდი იმ როლს, რომელსაც ისინი შეყრილის ხალხის სასიამოვნოდ ასრულებენ მთელი ოთხი დღე და ასრულებდენ ამ ცხრა წლის განმავლობაში.

საზოგადო კრების თავმჯდომარემ სხდომა გახსნა და წლიური ანგარიში წაიკითხეს. უნდა მოგახსენოთ, რომ ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე და საზოგადო კრებისა ერთი და იგივეა. უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ საზოგადო კრების თავმჯდომარედ სულ ახალი პირი იყოს ხოლმე ამორჩეული, რადგანაც ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეს შეუძლიან ისარგებლოს თავის უფლებით და სიმართლე გაქელოს. თბილისის ბანკის საზოგადო კრების თავმჯდომარეს ბ. იასე ანდრონიკაშვილს ამ ცილს ვერ დავსწამებთ... პირ-იქით, ეს ძალიან სუსტად იქცევოდა და რაც საჭირო არ იყო, იმდენს ალაპარაკებდა. მაგრამ თუ წრეულ თბილისის საზოგადო კრებას რიგიანი თავმჯდომარე ჰყვანდა, შეიძლება მეორეთ ისეთი გაქნილი თავმჯდომარე შეჰხვდეს, რომ მთელი კრება სულ ნარიბაბა ათამაშოს. პიროვნებით არ უნდა ვსტყუვდებოდეთ და ყოველთვის იმ პრინციპს უნდა ვადგეთ, რომელიც სწორე და სამართლიან გზაზედ დაგვყენებს. საზოგადო კრებაზედ ზედამხედველის კომიტეტის წევრნი, რომის სენატორებივით ისე გაქვავებულნი ისხდენ მთელი ოთხი დღე, რომ გეგონებოდათ, ეს არის იმათ პორტრეტს იღებენო, მხოლოდ, ღვთის წინაშე, ეს შვიდი დარბაისელი კაცი დრო-გამოშვებით ერთბაშათ ზეზედ წამოდგებოდენ ხოლმე, მშვიდათ გულზედ ხელებს დაიწყობდენ, მოწიწებით თავს დაუკრავდენ საზოგადო კრებასა, „ატირდებოდენ“ და მოიხსენებდენ“ ხოლმე: „ბატონებო, რა დაგვიშავებია, რომ ამდენ დარბაისელ ხალხს მაგდენ „ბიდღს“ გვაჭმევთო?“ საზოგადო კრებასაც ამ სანახაობით მაშინვე გული აუჩუყდებოდა, თავის ცოდვას იქვე შეინანებდა ხოლმე და ერთ-ხმად შეჰბღავლებდა: „ბრავსიმ, გვაპატიეთ, ბრავსიმ!“ თქვე დალოცვილებო, ჩვენ როტვას რა ყურს უგდებთ? ენას ბორძიკი არ მეედება... პროსიმ გვაპატიოთ!.. ბაბუტებულ ზედამხედველ კომიტეტსაც მაშინვე გული მოურბილდებოდა ხოლმე და ისევ ჭკვიანად დაბრძანდებოდა. მაგრამ, თუ საზოგადო კრებამ ზედამხედველი კომიტეტი დაჩაგრა, იმათი ჯაერი ამოიყარა მმართველობამ და ნამეტნავად ორმა მისმა

ტრანზიტის გაუქმება მხოლოდ ჯიბეს გაუხსნის იმ, როგორც რუსები იტყვიან, „ყაზანელ ობლებს“, რომელთაც თავის ძალით ვერაფერი მოუხერხებიათრა და მუდამ მართებლობის შეწევნას და მფარველობას თხოულობენ.

სიტყვა სხვა, საქმე სხვა,
შუა უძევს დიდი მზღვარი.

იქნება მკითხველს ყრუდ მაინც გაგონებული ჰქონდეს, რომ სამმა უძლიერესმა ევროპის სახელმწიფომ: გერმანიამ, ავსტრო-ვენგრიამ და იტალიამ სამების კავშირი შეჰკრეს და ერთმანერთს სიტყვა მისცეს,—უერთმანერთოდ არც ერთი საქმე არ დავიჭიროთ და თუ ვინიცობაა რომელსამე ჩვენგანს საიდანმე რამ შიში მოელოდეს, ყველანი წავეშველოთო. მთელი ორი თვე აუარებელი ყაყანი იყო ევროპის ჟურნალ-გაზეთობაში, უნდოდათ გაეგოთ, ვის წინააღმდეგ შეუკრავთ ამ სამ სახელმწიფოს კავშირი: რუსეთს ემუქრებიან თუ საფრანგეთის გაძლიერებისა ეშინიანთო; მთელი ერთი თვე ამაზედ განუწყვეტლივ ლაპარაკობდენ, მაგრამ დღემდისაც ვერა გაუგიათ-რა გამოჩენილის ბისმარკის უცნაურს ჭახრაკებისა.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ ბისმარკს ამ საუკუნეში არავინ არ შეედრება დიპლომატიურს ნიჭშიაო, ე. ი. იმასავით მტრებს ერთმანერთში ვერავინ ვერ მოარიგებს და მოყვარეებს ვერავინ წაჰკალებსო. მართლაც რომ ეს უკანასკნელი ამბავი ამ შეხედულობას ბისმარკის პოლიტიკაზედ თვალ-ნათლივ ამტკიცებს. ვინ მოიფიქრებდა რომ ავსტრო-ვენგრია შეუერთდებოდა პრუსიას, იმ პრუსიას, რომელმაც 1866 წელს სულ კუდით ქვა ასროლინა და გუდა-ნაბადი ზედ დაბერტყა; ვინ იფიქრებდა, რომ შარშანდელის, ან თუნდა წრეევანდელის ამბის შემდეგ იტალია და ავსტრო-ვენგრია ერთს ბანაკში მოექცეოდენ, ის იტალია და ავსტრო-ვენგრია, რომელნიც ერთმანერთს დღემდე და დღესაც,—თუ კი ხალხს დავეკითხებით და არა დიპლომატებს-დაუძინებელნი მტერნი არიან ერთმანერთისა. ვინ არ იცის, რომ იტალიაში მოქმედობს ძლიერი პარტია „გამოუხსნელს იტალიისა“, რომელსაც თავის სიცოცხლის საგნად გაუხდია გამოხსნა და იტალიასთან შეერთება იტალიის იმ პროვინციებისა, რომელნიც ჯერედ კიდევ ავსტრიის ხელში არიან.

მაგრამ „ყოველად-ძლიერმა“ ბისმარკმა დაბრკოლებია წინ გაჩერება არ იცის, და რაც სხვა მოკედავისათვის შეუძლებელია, იმის შესრულება არ უჭირდება. ბისმარკმა მოათავსა ერთს ტაფაში პრუსია და ავსტრია და იტალიაც მაჩანჩალასავით თან მიაყოლა და იქნება დარწმუნებულიც იყოს, რომ მტკიცე ჯაჭვით გადაბა ეს სამი ერთმანერთთან გადამტერებული სახელმწიფო, მაგრამ.... ეა წყეული, სულის ალმშფოთებელი „მაგრამ“ მოსვენებას არ აძლევს ადამიანს, იმისთანა ძლიერს ადამიანსაც კი, როგორიც არის ბისმარკი.

ამბობენ, ბისმარკის სიბერემ დასძლიაო და ამიტომ ამ ბოლოს დროს კოპი ყოველთვის ალმუ ვერ მოსდისო, სიბერემ დასძლია და ამიტომ შინაურ პოლიტიკაში მეტის-მეტი სისუსტე გამოიჩინაო. მაგრამ, მგონი, ბისმარკის სიბერე ისე არ უნდა მოქმედობდეს ევროპის ბედის-წერაზედ, როგორც ევროპის ხალხთაგან თავიანთ ინტერესების შეგნება და იმ დედა-აზრის გავრცელება, რომ მმართებლობამ, რაც უნდა კავშირი შეჰკრას სხვა მმართებლობებთან, მაინც ამ კავშირს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, თუ ხალხიც უკან არ მიჰყვაო.

ამისთვის ამოვსწერეთ ჩვენის წერილის სათაურში, რომ სიტყვა სხვა არის და საქმე სხვაო. სიტყვით ავსტრიამ, ბერმანიამ და იტალიამ კი მტკიცე კავშირი შეჰკრეს, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ამ ქვეშაზედ აშენებულს კავშირს საძირკველი მალე დაენგრევა და შემდეგში მხოლოდ იმისთანა კავშირი იხეირებს, რომელსაც საფუძვლად თითონ ხალხის სურვილი ექნება.

ახალი ამბები.

ჩვენ ერთხელ და ორჯერ არ მიგვიქცევია ყურადღება იმ გარყვნილებაზედ, რომელიც გავრცელდა სხვადა-სხვა სასტუმროებში, სადაც კი „არფიანკებმა“ (მომღერალმა ქალებმა) დაიბუდეს, მაგრამ სამწუხაროდ ყურადღებას არავინ აქცევს.

აჰის გარედ რამდენი უბედურება სდევს ამისთანა ქალებთან ქეიფს, რამდენი კაცი შეიქმნა მსხვერპლად?

ამ „არფიანკების“ წყალობით სასტუმრო „საქართველოში“ გალახეს რამდენიმე კაცი, რამდენიმე დასჭრეს და ბოლოს კიდეც მოკლეს.

სასტუმრო „ლივადიაში“ ცემა-ტყეპას და ხანჯლების ტრიალს ანგარიში არა აქვს.

ამ მხრით „შვეიცარიაც“ არ ჩამორჩა სხვა სასტუმროებს, ყოველ ღამე ჩხუბი და გინება გათენებამდე არ შესწყდება. რამდენჯერმე იარაღის ხმარებაც მოხდა.

ბუშინ, ღამის 3-ს საათზედ ამ სასტუმროში ჩხუბი მოხდა და მსხვერპლად შეექნა თითონ სასტუმროს პატრონი ბ. სიხარულიძე, რომელსაც ორს ადგილასა აქვს ჭრილობა.

ნუ თუ თბილისის პოლიცია ეხლაც არ მიაქცევს ყურადღებას ამდენ საძაგლობას და თავიდგან არ მოგვაშორებს ამ შესაწუხებელს, მავნებელს და გამრყვნელს დროს გატარებას?

〰 ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის გამო დანიშნული „ლდესაწყალობა“ დაიწყება მხოლოდ კურთხევის შემდეგ დღიდამ, როდესაც საკუთარი განკარგულება მოვა.

〰 როგორც „ოდესის უწყება“ გვატყობინებს, ოდესაზედ გამოუვლია და ამ ცოტა ხანში ჩამოვა თბილისში რუსეთის გამოჩენილი ლიტერატორი (სატირიკოსი) მიხეილ ევგრაფის-ძე შჩედრინი (სალტიკოვი). ბატ. შჩედრინს განუზრახავს თურმე სამუდამოდ ჩვენს ქალაქში დასახლება.

ღმერთმა ქმნას, რომ ერთხელ ერთი რიგიანი კაცი მაინც მოვიდეს ჩვენ ქვეყანაში.

〰 ამას წინედ შტაბს-კაპიტანმა მიშჩენკომ უბრალო მიზეზის გამო მოკლა რეალური სასწავლებლის მასწავლებელი მაშარსკი. ეხლა შევიტყეთ, რომ მიშჩენკოს სახლობას განუძრახავს მოკლული მაშარსკის სახლობას ყოველთვეობით უგზავნოს იმდენი, რამდენსაც მიცვალებული უგზავნიდა.

〰 შარტრის ჰერცოგს, რომელიც ეს ერთი თვეა საქართველოში იმყოფება, ეხლა მთელი ერევნის გუბერნია დაუვლია და ყველგან დიდი პატივი უციათ.

〰 სპარსეთის შაჰის ძმა, რომელიც გვირგვინის კურთხევას უნდა დაესწროს მოსკოვში, 9 მაისს, დილის 9 საათზედ, მოსულა ასტრახანს, სადაც გუბერნატორი, ქალაქის თავი დეპუტაციით მიჰგებებიან. შაჰის ძმას ზედ პარახოდზედვე უბოძებია იაზონ თუმანოვისთვის, რომელიც იმას მიაცილებს, წითელი ლენტი ვარსკვლავით.

〰 რუსული თეატრის ანტრეპრენიორს, ბ. ფითოევს მოუწვევია მოსკოვის პატარა თეატრის არტისტები, რომელნიც თბილისში თორმეტს წარ-

---

მა წევრმა, რომელთაც ისე დაუფანტეს დავთრები, რომ მეძებრებითაც ეელარსად მოჰნახვენ. ან კი რას მოუხერხებდა ამ ჭახრაკ-იურისტებს საზოგადო კრება, როდესაც ყოველთვის ის დალოცვილები იურასპრუდენციის ისეთს შავი ნისლით და ბუნდოვანი მოდებულ ფარდებში ჰფრინდებოდენ ხოლმე, რომ იქამდე მათი აყოლა არავის შეეძლო; გარდა ამისა, მმართველობის წევრნი ისეთს ღრმა რუსულსა ლაპარაკობდენ, რომ უმრავლესობას არ ესმოდა,—თუმცა, არ გეგონოთ, რომ მე ამას ცოდვად ვისმე ეუთვლიდე, ამ ერთად შეერთებულმა პირობებმა ბევრი უშველეს ბანკის მმართველობას. ამ ნისლის წყალობით მათ თავისი გაიყვანეს და ოპოზიციის მომხრენი პირში ჩალა გამოვლებული დარჩნენ. იქნება გაინცვიფროთ და მკითხოთ: თუ კრების მომეტებულ ნაწილს იმათი არაფერი ესმოდათ, მაშ რას დაუჯერებდენო? ამის პასუხი ადვილი გახლავთ. ეკრება ამ ნაირი ლოლიკით სჯიდა: მართალია ჩვენ ბევრი არაფერი გვესმის, მაგრამ რადგანაც ჭკვიანი კაცები ლაპარაკობენ, ეგენი ტყუილს არაფერს იტყვიან, მაშ ბრავო და ტაში მაგათო! და კიდეც უკრავდენ ტაშს.

***

ანგარიშიდამ აღმოჩნდა, რომ ბანკის წლევანდელი მოგება ბევრით ნაკლებია შარშანდელზედ. ამ მოვლენის მიზეზს ბანკის მმართველობა აბრალებს ჩვეულებისამებრ, წარსულს ომს, მთავარ-მმართებლობის გაუქმებას, ტრანზიტის გაუქმებაზედ დაყრილ ხმებს და სხვა კიდევ რაღაც საზოგადო მიზეზებს.

ვის რა გაქვთ სათქმელიო, იკითხა ბანკის ყრილობის თავმჯდომარემ და კიდეც გავარდა პოლკოვნიკი ბ. თარხნიშვილის თოფი. უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა შარშანდელი გადწყვეტილება ყოფილა, რომ წლის ანგარიში ერთი თვით ადრე დარიგებულიყო, მაგრამ მმართველობას ეს ვერ აესრულებინა. ამ ცოტა ხანში აბა ვინ მოასწროდა ანგარიშის შესწავლას, უიმისოდაც შეუჩვეველი კაცისთვის ჩინეთურ ანბანსა ჰგავს. ბატ. თარხნიშვილს მაინც მოესწრო ანგარიშის განხილვა და ძალიან საფუძვლიანი შენიშვნებიც მისცა. იმან უჩვენა, რომ სოფლის მამულებს ერთობ უსამართლოდ ნაკლებად აფასებთო და ქალაქისას მეტადო. მაგალითებრ: ბანკის დაფასებით დუშეთის მაზრაში წმინდა შემოსავალი დესიატინაზედ ნაჩვენებია 96 კ., ბორჩალოს მაზრაში—95 კ. მაშინ, როდესაც დუშეთის მაზრაში დღიურზედ ღალა ორი კოდია, მაშა სადამე დესიატინაზედ ოთხი კოდი იქნება.

ბ. თარხნიშვილის აზრით, მეტად დაფასებულმა ქალაქის მამულებმა შესამჩნევად აზარალეს ბანკი. მაგალითებრ, წრეულ ბანკს თავის მოგებიდამ გადაუდვია ათას შვიდას თუმანზედ მეტი იმ ზარალის შესავსებათ, რომელიც მოელის ბანკს. მაგრამ ბანკის გამგებელს ეს მოგებიდამ გადადებული ათას შვიდასი თუმანი ზარალად არ მიაჩნია, იმ ახირებული მოსაზრების ძალით, რომ ეს ფული ჯერ ბანკის დახლიდამ კარზედ არ გასულაო, მაგრამ უფრო მეტი საფუძველია, რომ გავა, მინამ დარჩება...

თავისი შენიშვნები ბ. თარხნიშვილმა იმითი დააბოლავა, რომ ბანკის საქმეები რაღაც საეჭვოდ მიგვაჩნია და რომ ეს ეჭვები გავფანტოთ და ბანკსაც ნდობა მოუმატოთ, სარევიზიო კომისია ამოვირჩიოთო. საზოგადო კრებამ ბ. თარხნიშვილს წინადადებაზედ თანხმობა განაცხადა და ერთხმად მოითხოვა სარევიზიო კომისია, ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარემ თვისი და თავისი ამხანაგების შეურაცხყოფად იცნო ბ. თარხნიშვილის წინადადება.

ბანკის გამგებელმა სთხოვა საზოგადოებას: რაკი თქვენსას არ იშლით და კომისია გსურთ, მოდი იმ კომისიას სარევიზიოს ნუ დაარქმევთ—შემამოწმებელი კომისია დაარქვითო, ბ. თარხნიშვილი ამაზედ დასთანხმდა, რადგანაც საქმე სახრავშია და არა სახელშიო. პირველ დღეს სხდომა თი-

ნარმვი ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგენას გაჰმართვენ. მათში ურევია ისეთი შესანიშნავი არტისტკები, როგორიც ქ. ფედოტოვა და ერმოლოვა.

„დროების“ კორესპონდენცია.

ანანური. საზარელს მდგომარეობაშია საზოგადოდ დუშეთის მაზრა. არც ერთს სოფელში არ არის გამართული სკოლა. საკვირველია რას უნდა მივაწეროთ ასეთი გულ-გრილობა. საზოგადოდ ამ მხრის მთის ხალხი არ არის გონებით დაცემული, არიან მიმყოლნი და საქმის ჩქარა მიმხვედრნი. მაშასადამე ეს უზრუნველობა ხალხს ვერ მიეწერება. ზოგი ერთი სოფლები, ნამეტნავად, რომელზედაც სახემწიფო გზა გადის, სწორედ პატარა ქალაქებსა ჰგვანან, ვაჭრებით სავსენი არიან და ყოველთვისინ შეეძლოთ სკოლების გაუჭირებლად გახსნა.

თუნდა ავიღოთ ანანური, რომელიც ყოველის მხრით მოწყობილია ამ სასარგებლო და საკეთილო დასაწყისისათვის, მაგრამ დღემდის ანაბანას ისევ ბეჭზედა სწავლობენ.

ამის მიზეზი, ძე მგონი, უფრო იმ მართველებზედ არის დამოკიდებული, რომელთაც ჰგონიათ, რომ იმათი მოვალეობა მარტო ბეგარის დროზედ გასტუმრება არის და ხალხს კეთილდღეობა-კი იმათ მზრუნველობას არ შეეხება.

ანანურის მამასახლისი არის შეძლებული ვაჭარი, ყველასაგან პატივცემული და მამასახლისების შემოღებიდგანვე არ გამოცელილა. ამისთანა პირს ყოველთვისინ შაეძლო, ხალხის საკეთილოდ ემოქმედა და ადვილად ჩაეგონებინა, თუ რა სასარგებლოა სკოლა. ეა დალოცვილი თუ სხვებისათვის არა, თავის თავისთვის მაინც უნდა ცდილიყო. იმასაც ხომა ჰყავს შვილები, ნათესაობა, იმათი სწავლა მაინც არ უნდა უნდოდეს? რასაკვირველია, მაგრამ სამწუხაროთ, ამ გვარ ხალხს ყოველთვის უპირველესი მოვალეობა ავიწყდებათ და მთელი იმათი გონება სხვა-და-სხვა მბძანებელ ბატონების სიამოვნებისკენ ძიმართება.

ანანური ყოველის მხრით შემკობილია, მშვენიერი ტყეები, წყალი თითქმის გარს უვლის. მთიულეთიდგან, ფშავ-ხევსურეთიდგან, ქართლიდგან, ალვეთიდგან გზები აქ იყრებიან და ამის გამო გამველელ-გამომველელიც არ აკლდება და ვაჭრობაც საკმარისი არის.

ამის გამო ხალხი კარგა შეძლებულია და სრულიად არ გაუჭირდებოდა რამდენიმე მანათის გადადება საშვილიშვილო საქმისთვის.

Z.

შენიშვნა.

„დროების“ 86 ნომერში ბ. მესხის გამოსალმების აღწერაში, საჭიროდ მიმაჩნია, მიუხედველად რეპორტერის ლაპარაკისა ერთი შეცდომა შეეასწოროთ, რომელიც შეეხება ჩემს სიტყვას.

რეპორტები ბძანებს, ვითომ ჩემი სიტყვა, რომელიც სადილზე მყოფთა მოწვეევით ეთქვი, გაუგებრად მეთქვას. სამწუხაროდ მიმაჩნია და ამიტომ იძულებული ვარ ნათქვამი წარმოგიდგინოთ; იმედი მაქვს სადილზე დამსწრენი დამემოწმებიან, რომ ეს ნამდვილი ნათქვამია და არა ახლად შეთხზული. ამას დავსძინებ, რომ ჩემ წინად ბ. ივანე მაჩაბელმა სთქვა სიტყვა, რომელსაც შეუთანხმე ჩემი აზრი.

აი თვით სიტყვა:

„ბატონებო, რითაც გაათავა ბ. მაჩაბელმა იქიდამ დავიწყებ. ახალმა რედაქტორმა ბძანა, რომ აქ შეგვყარა ყველანი გაურჩეველად ბ. მესხის შრომის პატივის ცემამაო.

„რა იყო საკუთრად მიზეზი ამ პატივის ცემისა, რომ ასე შეგვყარა? რამ მოინადირა ყველანი გაურჩეველად?

„ჯერ იმ საგანმა, რომ ბატონი სერგეი იყო ამდენს ხანს ერთგული, გულწრფელი მოღვაწე ჩვენის ქვეყნის ბედნიერებისათვის.

„მერმე იმ საგანმა, რომ ამ გვარის შრომისათვის მწერლობაში გვაერთებდა ყველანი, ყველას იძხრობდა.

„ყოველი საზოგადო საქმე მუშაობს ზედ მოქმედების ქვეშე არამც თუ სამოცი-ოთხმოცის წლის გარემოებისა, არამედ მთელის საუკუნებისა და ათასის წლებისა. წარსულის საქართველოს ისტორიით ვიცით, რომ საქვეყნო შრომა დაშლილი, გაფანტული, განაწილებული იყო და ქვეყნის ბედნიერებას უშლიდა.

„ბატონს სერგეის განყოფა მავნებლად მიაჩნდა. ჩვენში მოგონილი ძველი თაობა და ახალი თაობა მოგონილი სიტყვაა, უსაფუძვლოა. ჩვენში ეს განყოფა არ არის. თუ შეგვიძლია განყოფა ჩვენის საზოგადოებისა, ორად უნდა გავყოთ: ერთნი არიან გულგრილნი მაყურებელნი ქვეყნის საქმისა, რომელთაც ქვეყნის ბედი ფეხებზე ჰკიდიათ; და მეორენი არიან ისინი, რომელნიც ძვირად აფასებენ ქვეყნის ბედნიერებას.

„ბატონი მესხი ცდილობდა მწერლობაში ყველანი შეეერთებინა, ყველანი დაეახლოვებინა განურჩეველად.

„ვაკამ მისს სადღეგრძელოს.“

თუ გასაგები არ ყოფილიყო ეს ჩემი ნათქვამი, ჩემს შემდეგ ბ. ფლადიმერ მიქელაძე არ დაიწყებდა ამ სიტყვით: „რითაც გაათავა ბ. უმიკაშვილმა, იქიდამ დავიწყებო“, (დაბეჭდილს მიქელაძის სიტყვაში, იქნება როგორც უმნიშვნელოდ ჩათვლილი, ეს არ არის მოხსენებული). მიქელაძეს ნათქვამი ჩემის ნათქვამის განგრძელებად და ახსნად მიმაჩნია.

პეტრე უმიკაშვილი.

ბატონ-ყმობა.

მოსიყვარულე ქმარი. ერთმა ამერიკელმა კაცმა შემდეგი უცნაური განცხადება დაბეჭდა გაზეთში: „ჩემი ცოლი მარია—ანნა ან დაიკარგა და ან მოიპარეს. როგორც უნდა იუკვეს, მე მაინც განვიზრახე თავი მოვკლა იმას, ვინც ჩემს ცოლს უკან მომიყვანს. რაც შეეხება ფულის სესხებას, ველა ვაჭარს ნება აქვს ასესხოს ჩემს ცოლს, რამდენიც უნდოდეს; მაგრამ, რადგანაც მე ჩემს ვალებსაც ვერა ვხდიდობ, არა მგონია თუ ჩემის ცოლის ვალებს გადავიხდი.“

〰

ბასათხოვარი ქალების საყურადღებოდ. კანადის ფუბერნატორმა გამოაცხადა, რომ კანადაში ქალები ძალიან ნაკლებად არიანო და ვისაც კი გათხოვება უნდა იქ წავიდესო. კანადის ქალაქებში ისე დიდი მოთხოვნილება არის გასათხოვარის ქალებისაო, რომ, როგორც კი მივა იქ გასათხოვარი ქალი, რამდენიმე კაცი მაშინვე წერილებს გაუგზავნიან, არა მე მომთხოვდი და არა მეო.

〰

ადვოკატებისთვის. ერთმა ადვოკატმა, რომელიც დამნაშავეს იცავდა, შემდეგის სიტყვებით დაბოლოვა თავისი დაცვარაკი:

„მე ვიცი, ბბ. მსაჯულებო, რომ არის მსოლოდ სამი საშუალება, რომლების წყალობითაც კაცი თავის გულის წადილს ისრულებს: ლამაზი შესედულობა, ჭკუა და ფული. რაც შეეხება სილამაზეს, საჭიროა შესედოთ ჩემდამი რწმუნებულს კაცს, რომ შეგიტყოთ იმისმა მახინჯმა სახემ. რა ჭკუის პატრონიც არის, ამას იმის ლაპარაკიდამაც გაიგებდით, — არა მგონია თუ ამაზედ კაგლახი ჭკუის კაცი კიდეგ იუკვეს ვინმე. რაც შეეხება ფულს, იმდენიც კი არა აქვს, რომ ჩემი გასამრჯელო მომცეს. მაშასადამე რაკი ეს სამი საშუალება არა ჭქონდა ამას გერც დანაშაულს ჩაიდენდა, ამისათვის ჩემდამი

თქმის ამ კომისიაზედ ყაყანში გათავდა. მეორე დღეს ბ. თარხნიშვილმა მოკლე პროგრამა წარუდგინა, რითი უნდა ეხელმძღვანელა და რა უფლებები მიენიჭებოდა მომავალ კომისიას. ველა ეს მიიღეს და ოქმში შეიტანეს. მესამე დღეს, ყველასთვის მოულოდნელად, ბ. ბანკის გამგებელმა გამოაცხადა, რომ თქვენ არაფერი უფლება არა გაქვთ, რაღაც კომისიები ნიშნოთო. ველამ პირები დაალეს და კითხვით ნიშანს დაემსგავსენ. მაშ გუშინ და გუშინწინ რად დასთანხმდითო, წამოიძახა ვილამაც. ეჰ, თქვე დალოცვილებო! რას გადასცემთ? შეცდომის გასწორება ყოველთვის შეიძლებაო. მხოლოდ სულელია თავისი სიტყვის მონაო და სხვ. მაშ რახან ეგრეა, ანგარიშს აღარ დაგიმტკიცებთო, გამოაცხადა კრებამ.

ან ანგარიშის დამტკიცებას ვინა გკითხამთო? უპასუხეს ზევიდან. პატივი გეცით, მოგიწვიეთ და პირის სანახავის მორთმევის მაგიერ, თქვენ რაღასაც მეტი ჩაროობთო. აქ საზოგადო კრების განცვიფრებას საზღვარი აღარ ჰქონდა: ბევრი იჭინჭყლეს, მაგრამ წესდების ძალით აღმოჩნდა, რომ ანგარიშის დამტკიცება ეკუთნის ზედამხეველს კომიტეტს და არა საზოგადო კრებას: წესდებაში მართალია, განძრახ, და უცაბედათ, ეს იურიდიული აბსურდი შეპარულა, მაგრამ ჩვენ გაგვიკვირდა და გვიკვირს, რომ ამითი ისარგებლეს მათ, ვისაც იურისპრუდენციაში კუჭი მოუჭრია. იმავე წესდების ძალით ორ-მესამედს დამფუძნებელ წევრთაგანებს შეუძლიანთ მთლად ბანკი სულ დაკეტონ და საზოგადო კრებას ეუბნებიან,—ანგარიშის დამტკიცების უფლება არა გაქვთო. პატარა უფლება ყოველთვის დიდი უფლებიდამ მომდინარეობს. ეს იურიდიული აქსიომა არ გახლავთ, ბ. ბანკის იურისტებო? ძარგად იყო, თუ ავად გაათავეს ის წყეული კითხვები, რომლებმაც სამ დღეს იმდენი ხალხი მოაცდინა და სულ ტყუილად აყვირა—აყაყანა. ეხლა შეუდგენ ერთი დირექტორის და ორი დამფასებლის ამორჩევას. ბამოსაცველელი დირექტორი დინჯად იჯდა—უთუოდ მეტოქეს არსაიდან მოელოდა. ბადავხედე კრებას და რამდენიმე კაცი სკამებზე გასწორდენ: ფერი მისდიე-მოსდიოდათ, გული აჩქარებით უცემდათ, ერთის სიტყვით, იმ შეშფოთებულ მდგომარეობაში იყვნენ, როგორშიაც ვყოფილვარ მე თითონ ბევრჯერ, როდესაც ბაეგზამენიოთ გაყვანის რიგი მიახლოვდებოდა ხოლმე. მაშინ რომ გეკითხათ, სულ თითო-თითოთ ჩამოგითვლიდით, რამდენი კაცი აპირებდა დამფასებლობაზედ კენჭის-ყრას. ძველი დირექტორიც მოსტყუედა: უეცრივ სამმა კანდიდატმა წარმოსდგა კენჭის საყრელი ყუთები. ერთი მათგანი იყო ზედამხეველი კომიტეტის წევრი ბ. ვეზიროვი, მაგრამ—ვაი უბედურობას!—ზოგჯერ, რომ კაცს ქვა აღმართში მოეწევა, ბ. ვეზიროვს სწორეთ ისრე მოუვიდა. აღმოჩნდა, რომ ბ. ვეზიროვს თურმე ხმის უფლება სრულიად არა ჰქონია. მაშ აქ რათა ვზივარ, თუ წევრიც არა ვყოფილვარო? იკითხა განცვიფრებულმა ვეზიროვმა.—ეჰ, შე დალოცვილო, აქამდე სხვა იყო, ეხლა სხვა არისო... აქამდე ფასს არა სთხოულობდი და პატივსა,—ემანდ შენთვინ იჯექიო და ეხლა კი... მაინც ნუ გეშინიანო, ანუგეშა ბ. ჭავჭავაძემ, ახალის კანონის ძალით შეიძლება ეხლავ წევრად ჩაგრიცხოთ და კენჭიც გიყაროთო. უნდა მოგახსენოთ, რომ წლევანდელ კრებაზედ ერთი შესანიშნავი გარდაწყვეტილება დაადგინეს: ველა აზნაურშვილს, ვისაც კი სოფლის მამული აქვს, შეუძლიან ფული შემოიტანოს რასაც ზედამხედველი კომიტეტი გადასწყვეტავს—და წევრად ჩაირიცხოს. ბ. ავალოვმა ჭავჭავაძეს წინადადება, უსაფუძვლოდ დაინახა, იწყინა, შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ბევრს მოსცხო და გმირულად გავიდა კრებიდან. შემდეგ რითი გათავდა, ეს ჩემის წინა-ფელეტონიდამ გეცოდინებათ.

დავით სოსლანი.

რწმუნებული დამნაშავე უნდა გაანთავისუფლოთ“.

დამნაშავე გაანთავისუფლეს.

〰

ფოსტის ნაწილში მოსამსახურე კატები. რასაკვირველია ყველას არ ეცოდინება, რომ შეერთებულ შტატების ფოსტებში კაცებთან ერთად მსახურობენ ათასამდინ კატებიც, რომლების მოვალეობაც არის ყური უგდონ წერილებით სავსე ტომრებს, რომ თაგვებმა არ გაფუჭონ. ეს გუშაგები ჯამაგირად საჭმელსა და ქვეშაგებს იღებენ. ჩინოვნიკების სიაში ისინიც არიან ჩაწერილები. როცა მოსამსახურე კატებს კნუტები უჩნდებათ, ამ ამბავს ყველა ფოსტის დირექტორებს ატყობინებენ, რომ საჭმელსა და ქვეშაგებს მოუმატონ.

კერძო საავადმყოფო

კუკიაში, სემიონოვის ქუჩა, ახალგოგის სახლი.

Ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

Დილით: 9 ს საათიდამ $10\frac{1}{2}$-მდინ ნაევასარტიანც—ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, უმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; $10\frac{1}{2}$ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

Საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ შაკოვი—უმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ფსიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—ალუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ.-შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ექ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიაფუსის ხელმძღვანელობით.

ტფილისის სამაურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან: დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარდეკიჩი და ლისიცკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცკი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტე ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტე ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცკი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცკი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

განცხადებანი

—

Გუშინდელს თბილისის საადგილმამულო ბანკის ტირაჟის განცხადებაში შემდეგი შეცდომა მოგვიყიდა.

მე-VII სერიის გირავოს ფურცლები გამოცემულნი წესდების ძალით 28 მაისისა 1874, ამ ტირაჟში სრულებით არ გამოსულან, ამიტომ მე-VII სერია უნდა ჩაითვალოს მე-VIIIედ, მე-VIII—მე-IX-ედ, მე-IX—მე-X-ედ და მე-X—მე-XI-ედ.

ისყიდება რამდენიმე ნაჭერი მიწა იაფად მტკვრის ნაპირზედ, ახალი ხიდის ახლო, იკითხეთ ინგლისის მაღაზიაში. იქვე ბომბეი, საქალო და საკაცო უნაგირები და სხვა მრავალი საქონელი იაფად. (5—5)

გოლრში ისყიდება კარგი სახლის ადგილი, მდებარე სამს საუკეთესო ქუჩებზედ, სიახლოეს ხიდისა, რომელიც ახლა შენდება, ფასი ეკითხოს ტფილისში **ზაქარია მამაცაშვილს**, ამასთანავე ისყიდება კარებები და ფანჯრები. (3—3)

შაევრდოვის გაზეთის საგენტოში მიღებულია პირველი ნომერი ქუთაისში ახლად-გამოცემულის ჟურნალის „ქართველის ბიბლიოთეკისა“. № იყიდება 75 კაპ.

ნომერი შედგენილია მშვენიერად და ღირს-საყურადღებოდ მკითხველთათვის. (10—8)

საგლოგუსო ქალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდზე, ოთხ-ოთხ სხვადასხვა—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ოქროს „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანგერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, ბენზელი, კალმები, ბუმაგნიკები, ბორტ-სიგარეტები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ბარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები, ტასტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები, რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ბომბჩი, ქამრები, სარტყლები, საყელური, ბრობკები, საბრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის, ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმიო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—14)

ინგლისის მაღაზიაში

თვის ამოდმყვა

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—74)

ნიმაკმასტერი

აქვე ისყიდება ქინის ბომბა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საბონი, დუხები და სხვ.

ინგლისის

მაღაზია

Maison de confiance

ბეადარეო ბეანი ნაი.—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაიხ—1 მ.40 კ

— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადეიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—74)

ინგლისური რკინის კრავატები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სასამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დასაჩანგალი, კოვზები, თვალნოსები, ლითონები, სათვნგები, რკინის კალმები, ქალალდი, ნიჩბები, რეკოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის სარისხისა. (100—62)

ტაძცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ბუქნებში და დატარებით 1 მაისიდამ 1 იგნისამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის	—1 გირ.	$5\frac{1}{2}$
მეორის „	—1 გირ.	$3\frac{1}{2}$
მესამის „	—1 გირ.	—

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	$5\frac{1}{2}$
მეორის „	—1 გირ.	4 კ.

ჭვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	$5\frac{1}{2}$
მეორის „ „	—1 გირ.	$4\frac{1}{2}$
მესამის „ „	—1 გირ.	4 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	11 კ.
მეორის „	—1 გირ.	9 კ.
სუკი — —	—1 გირ.	17 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	11 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	—

იტალიანური ოპერის მომღერალი

ფ. ქოლრიძე

მცოდნე საფუძვლიანად ხმის განვითარებისა და განვარჯიშებისა, იტალიანურის მეთოდითა, ასწავლის სიმღერას ფრიად მცირე ფასით. ხოლო მეყსიერთა და ნიჭიერთა ღარიბთა თათქმის მუქთად. ბარდა ამისა ასწავლის იტალიანურს ენას.

ზ. მ. ქოლრიძისა, მცოდნე მუზიკისა: პრაკტიკულად და ტეორეტიკულად ასწავლის ფორტეპიანოს და ენებსა, რუსულს, იტალიანურს, ფრანცუზულს და ნემეცურს, ფრიად მცირე ფასით.

ბაზარის ქუჩა, № 20. სახლი ერისთავისა (ადრე თამამშოვისა).

(5—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Мая 1883 г. *Типографія Мсликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.